შერწყმისა და შეძენის სამართლებრივი რეგულირება მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის თანახმად

ზურა სეფიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება კორპორაციათა შეძენისა და შერწყმის სამართლებრივ ასპექტებს, მათ რეგულირებას ქართულ და საერთაშორისო დონეზე. ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში არსებულ ახლებურ რეგულაციებს ამ სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართ, ვიმსჯელებთ ძველ კანონთან მიმართებით არსებულ განსხვავებებზე და შევაფასებთ პრაქტიკისთვის მოსალოდნელ შედეგებს.

ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილისგან, დასკვნისგან და ექვსი თავისაგან. შესავალ ნაწილში ვისაუბრეთ საკვლევი თემის აქტუალობაზე. მეორე თავში განხილულია საზოგადოებათა რეორგანიზაციის კონცეფცია და რეორგანიზაციის ფორმების ზოგადი დახასიათება. მესამე თავი შეეხება უშუალოდ კორპორაციათა შეძენასა და მის ფინანსურ ასპექტებს, მეოთხე თავში ვიმსჯელებთ კორპორაციათა შერწყმის ნორმატიულ მოწესრიგებაზე გერმანული, ამერიკული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მეხუთე და მეექვსე თავში განხილული იქნება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 72-ე და 73-ე მუხლები, რომლებიც შეეხება შეძენა/შერწყმის განსაკუთრებული შემთხვევებს და მათ რეგისტრაციას, მეშვიდე თავში კი შემოთავაზებული იქნება პრობლემათა გადაჭრის მოკლე ინსტრუქცია და რეკომენდაციები.

ნაშრომის ავტორისგან:

მინდა, გულითადი მადლობა გადავუხადო წინამდებრე ნაშრომის ხელმძღვანელს, ჩემს ლექტორს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ დავით მაისურაძეს, კვლევის პროცესში დახმარებისთვის და გაწეული რეკომენდაციებისთვის.